საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

ბრძანება N 94

27.09.2019

ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2019 წლის 25 სექტემბრის N92 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს, უზრუნველყოს პარტნიორ უწყებებთან მიმდინარე წელს დაგეგმილი საქმიანი ვიზიტებისთვის სასაჩუქრე ნივთების - ქაღალდის ჩანთა საგამოძიებო სამსახურის ლოგოთი (200 ცალი), ქაღალდის ჩანთა ღვინის ბოთლისთვის (200 ცალი), კალამი საგამოძიებო სამსახურის ლოგოთი და ინგლისურენოვანი წარწერით (100 ცალი), ყოველდღიური ბლოკნოტი ტყავის ყდით, დატანილი მეტალის საგამოძიებო სამსახურის ლოგოთი (50 ცალი) შესყიდვა.

2. ხარჯები ანაზღაურდეს 2019 წლის წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ერთი თვის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის 2019 წლის 16 სექტემბრის N15-02-4776 სამსახურებრივი ბარათი.

იგა ზაალიშვილი

სამსახურის უფროსი - მ.შ.